

(2010)

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა. რეზოლუცია 382 საქართველოში ვითარების შესახებ

ასამბლეა,

1) მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მცდელობას, გააგრძელოს დემოკრატიული რეფორმები, განსაკუთრებით კი კორუფციასთან ბრძოლის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და ოპოზიციის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის კუთხით;

2) აღიარებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ავღანეთში ნატოს მისიაში;

3) მიესალმება 2010 წლის 30 მაისს კონკურენტული და დემოკრატიული ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას, რომლებიც, საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, იყო წინ გადადგმული ნაბიჯი ეუთოსა და ევროპის საბჭოს მოთხოვნებთან მიახლოების თვალსაზრისით, მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა;

4) ასევე მიესალმება კონსტიტუციის რეფორმირების პროცესს, მაგრამ წუხს, რომ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის საკონსულტაციო მექანიზმი სრულად არ იქნა გამოყენებული.

5) ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს, საქართველოს ოკუპირებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე არსებული ჰუმანიტარული სიტუაციის გამო, ასევე ამ ორი რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დაბრუნების უფლებაზე უარის თქმის გამო;

6) მიესალმება პერევის ზონიდან რუსეთის ჯარების გასვლას, მაგრამ წუხს რუსეთის უშიშროების სამსახურების მიერ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთისათვის საჭირო პროცედურების გამკაცრების გამო;

7) ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსეთი კვლავ არ ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით მიღწეულ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დებულებებს, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ იგი არ ბრუნდება კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე;

8) ძლიერ შეშფოთებულია საქართველოს ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, საერთაშორისო დამკვირვებლების არარსებობის გამო, რაც გამოწვეულია რუსეთის მიერ საქართველოში ეუთოსა და გაეროს მისიების საქმიანობის შემდგომი გაგრძელების ბლოკირებით;

9) მიესალმება იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ევროკავშირის მისია კვალავაც ასრულებს საქართველოში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების განხორციელებისა და მხარეთა შორის კონტაქტების დამყარების ხელშეწყობის მიმართულებით;

10) მიესალმება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას და ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმას, რომლებიც მიზნად ისახავს ორივე რეგიონის საზოგადოების ჩართულობის მიღწევას კონსტრუქციული პროექტების მეშვეობით;

11) კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, როგორც ეს უკვე დაფიქსირებულია გაეროს უშიშროების საბჭოს არაერთ რეზოლუციაში საქართველოს შესახებ;

12) მოუწოდებს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებსა და პარლამენტებს:

ა) კვლავ დაადასტურონ ნატოს ღია კარის პოლიტიკა და ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, ასევე პრინციპი, რომ თითოეული კანდიდატი საკუთარი დამსახურებების მიხედვით უნდა შეფასდეს;

13) აგრეთვე მოუწოდებს კონფლიქტის ყველა მხარეს:

ა) დარჩნენ საერთაშორისო სამართლის პრინციპების ერთგული და სრულად შეასრულონ ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება;

ბ) სრულად გამოიყენონ ჟენევის პროცესი, როგორც ერთადერთი საერთაშორისო ფორუმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მხარის მონაწილეობას;

გ) სრულად ითანამშრომლონ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებში მონაწილეობის ჩათვლით;

14) მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და პარლამენტს, აფხაზეთის, საქართველო, და სამხრეთ ოსეთის, საქართველო, დე ფაქტო ხელისუფლებებს:

ა) აღმოფხვრან საქართველოში არსებული კონფლიქტების შესახებ დამოუკიდებელი საგამოძიებო მისიის და არაერთი სხვა საერთაშორისო დოკუმენტით ეთნიკურ წმენდად აღიარებული ქმედებების შედეგები და უზრუნველყონ ყველა იძულებით გადაადგილებული პირის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება საკუთარ სახლებში;

ბ) დაუბრკოლებლად დაუშვან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ორივე რეგიონში;

გ) უზრუნველყონ დაზარალებულთათვის საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობა;

15) აგრეთვე მოუწოდებს ევროკავშირს,

ა) კიდევ ერთხელ დაადასტუროს თავისი ერთგულება ევროკავშირის მისიის შესახებ არსებული შეთანხმებისადმი, რომლის მიხედვითაც სადამკვირვებლო მისიას უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფალი გადაადგილებისა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების ორივე მხარეს, როგორც ეს იყო შეთანხმებული ევროპული საბჭოს პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის შორის;

ბ) აღნიშნული შეთანხმების განხორციელება შეიტანოს ევროკავშირ-რუსეთის მომავალი სამიტის დღის წესრიგში;

16) მოუწოდებს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, ყველა ღონე იხმარონ კანონის უზენაესობის განსამტკიცებლად და გააგრძელონ დემოკრატიული რეფორმები ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს ოპოზიციის კიდევ უფრო ჩართულობას.

მომზადებულია უსაფრთხოების სამოქალაქო განზომილების კომიტეტის მიერ და მიღებულია ასამბლეის პლენარული სხდომის მიერ სამშაბათს, **2010 წლის 16 ნოემბერს**, ვარშავა, პოლონეთი

<http://www.nato-pa.int/Default.asp/საკუთარი თარგმანი>